პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№58 (5088)
1974 წ. 23 მარტი, შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ოქროს მედლები — სვერდლოვსკელებს

სვერდლოვსკის არმიელებმა, რომლებმაც 9 მარტს თავიანთ მინდორზე დაამარცხეს მოსკოვის დინამოელები, ვადამდე, ეს უკვე მეთერთმეტედ მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონობა ბურთიან ჰოკეიში.



ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის 1974 წლის ჩემპიონი ბურთიან ჰოკეიში — სვერდლოვსკის ასკ.

ა. გრახოვისა და ა. იაკოვლევის ტელეფოტო (საკდესი).

## ეს ალბათ თბილისში მოხდება

ძალოსნობის ერევნელ მოყვარულებს იმედი გაუცრუვდათ: ვერა და ვერ მოხერხდა ორი შესანიშნავი საბჭოთა ძალოსნის ვ. ალექსეევისა და ლ. ჟაბოტინსკის ერთ შეჯიბრებაში ხილვა. მოხდა ისე, რომ ალექსეევი და ჟაბოტინსკი დაუსწრებლად აუმჯობესებდნენ მსოფლიო რეკორდებს: ალექსეევი — აკვრაში, ჟაბოტინსკი — ატაცში. თითქოს ერევნის ფიცარნაგი უნდა გამხდარიყო ამ ორი გოლიათის შერკინების ასპარეზი, მაგრამ ჟაბოტინსკიმ ბოლო მომენტში უარი თქვა შეჯიბრებაში მონაწილეობაზე იმ მოტივით, რომ გაცხოველებით ემზადება საკავშირო ჩემპიონატისთვის, რომელიც თბილისში აპრილში მოეწყობა. რას იზამ, უნდა დაველოდოთ...

ახლა კი „მეგობრობის პრიზზე" ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ზემძიმე წონის ათლეტთა ასპარეზობის შესახებ.

შეჯიბრებაში ჩაება 7 ქვეყნის 10 ათლეტი. შეჯიბრების უდავო ფავორიტად, რა თქმა უნდა, ალექსეევს მიიჩნევდნენ და მან სავსებით გაამართლა გულშემატკივართა იმედები. საბჭოთა ძალოსნების გამოსვლის გვირგვინი იყო ალექსეევის მიერ დამყარებული რიგით 58-ე მსოფლიო რეკორდი, რომელსაც მან აკვრაში მიაღწია, მაგრამ... მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრულად. ალექსეევმა მეორე ცდაზე 170 კგ დაძლია ატაცში, მერე 180-ს შეუტია, მაგრამ ვერ დაძლია. აკვრაში ალექსეევმა პირველ ცდაზევე 225 კგ აჰვენა და I ადგილი უკვე მოპოვებული ჰქონდა. მან უარი თქვა დანარჩენ ცდებზე და პირდაპირ მსოფლიო რეკორდს შეუტია — მოითხოვა 240,5 კგ და მაყურებელთა მქუხარე ოვაციებში ეს წონა დაძლია.

ამრიგად, საბჭოთა ძალოსნებმა იასპარეზეს ცხრავე წონით კატეგორიაში, სადაც 4 პირველი, 3 მეორე და 1 მესამე ადგილი მოიპოვეს.

გაგაცნობთ შეჯიბრების პრიზიორებს:

**ერევანი. 16-20 მარტი. „მეგობრობის პრიზი". მონაწილეობდა 18 ქვეყნის 116 ძალოსანი.**

უმსუბუქესი წონა. 1. დ. კიოსეგი (უნგრეთი) — 230 კგ (102,5+127,5), 2. პეტროვი (სსრ კავშირი) — 222,5 (92,5+130), 3. მ. ტაკეუჩი (იაპონია) — 220 (100+120).

მჩატე. 1. რ. ბელენკოვი (სსრ კავშირი) — 245 (105+140), 2. დ. მალეკი (ირანი) — 240 (105+135), 3. ხან ჩონ სი (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა) — 215 (95+120).

ქვემსუბუქი. 1. კ. ხირაი (იაპონია) — 267,5 (122,5+145), 2. ნ. კოლესნიკოვი (სსრ კავშირი) — 262,5 (115+147,5), 3. ვ. იაკუბი (პოლონეთი) — 250 (112,5+137,5).

მსუბუქი. 1. ნ. დეხნავი (ირანი) — 287,5 (125+162,5), 2. კ. ჩერნეცკი (პოლონეთი) — 285 (125+160), 3. ე. ამბროზი (უნგრეთი) — 280 (120+160)... 9. დ. შანიძე (სსრ კავშირი) — 272.5.

ქვესაშუალო. 1. პ. ვენცელი (გდრ) — 330 (145+185), 2. მ. ტრებულსი (ლიბანი)—315 (145+170), 3. ვ. სმირნოვი (სსრ კავშირი) — 312,5 (135+177,5).

საშუალო. 1. ვ. რიჟენკოვი (სსრ კავშირი) — 360 (162,5+197,5). 2. რ. მილსერი (გფრ) — 317,5 (137,5+180), 3. ს. მარკოვი (ბულგარეთი) — 297,5 (132,5+165).

ქვემძიმე. 1. პ. პეცოლდი (გდრ) — 360 (160+200), 2. ს. პოლტორაცკი (სსრ კავშირი) — 357,5 (160+197,5), 3. ტ. ავიჟენი (პოლონეთი) — 345 (155+190).

მძიმე. 1. ვ. უსტიუჟინი (სსრ კავშირი) — 377,5 (160+217,5), 2. ი. ცილკე (გდრ) — 375 (165+210), 3. ვ. ხრისტოვი (ბულგარეთი) — 362,5 (162,5+200).

ზემძიმე. 1. ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი) — 395 (170+225), 2. გ. ბონკი (გდრ) — 385 (162,5+222,5), 3. ს. რედინგი (ბელგია) — 382,5 (160+222,5).

დამყარდა ექვსი მსოფლიო რეკორდი: კიოსეგი (ატაცი — 106), ხირაი (ატაცი — 126), რიჟენკოვი (ატაცი — 162,5, აკვრა — 202, ორჭიდი — 360), ალექსეევი (აკვრა — 240,5).

## დასკვნითი აკორდი

ტელეფონით

გუშინ „ლელოს" კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ბელგრადს. მსოფლიოს და სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი მას ესაუბრა 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო ტურნირის დასკვნითი, XIII ტურისა და შეჯიბრების საბოლოო შედეგებზე.

— ბოლო ტურში პარტიების უმრავლესობა ყაიმით დამთავრდა, — თქვა ნ. გაფრინდაშვილმა. — დაზავდნენ მედიანიკოვა (სსრ კავშირი) — კატია იოვანოვიჩი (იუგოსლავია), რაძიკოვსკა (პოლონეთი) — გაფრინდაშვილი (სსრ კავშირი), კალხბრენერი — მარკოვიჩი (ორივე — იუგოსლავია), ვოკრჟალოვა (ჩეხოსლოვაკია) — შტადლერი, ლაზარევიჩი — სებრიჩი, ბოჟკოვიჩი — პიხაილიჩი (ხუთივე — იუგოსლავია). ვერეცმა (უნგრეთი) მოუგო ვასნეცკის (გფრ).

ამრიგად, ტურნირში ადგილები ასე განაწილდა: I. გაფრინდაშვილი — 11 ქულა; II. ვერეცი — 9,5; III-IV. შტადლერი, კალხბრენერი — 8,5-8,5; V. რაძიკოვსკა — 8; VI-VII. მარკოვიჩი, ვოკრჟალოვა—7,5-7,5; VIII-IX. იოვანოვიჩი, მედიანიკოვა — 6-6; X-XI. ლაზარევიჩი, პიხაილიჩი — 4,5-4,5; XII. ვასნეცკი — 3,5; XIII. ბოჟკოვიჩი — 3; XIV. სებრიჩი — 2,5.

## ნორჩი ჩემპიონები





თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკში.

გოგონათა ტურნირში, რომელშიც 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა, ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო საქართველოს ოთხგზის ჩემპიონმა მოსწავლეთა შორის მ. წერეთელმა (თბილისის მე-14 სკოლა, X კლასი). 9,5 ქულით მზიამ მეხუთედ მოიპოვა ჩემპიონის სახელი.

II ადგილი 9 ქულით წილად ხვდა მ. მამისთვალოვას (თბილისის 102-ე სკოლა, X კლასი). III ადგილზეა ქ. გეგიძე (თბილისი, 54-ე სკოლა, X კლასი) — 8 ქულა.

ჭაბუკთა ტურნირში 14 მოჭადრაკე ჩაება. ჩემპიონის სახელისთვის ძირითადად ოთხი მონაწილე იბრძოდა. ფინიში ერთად გადაკვეთეს ზ. ბურჭულაძემ (თბილისის 102-ე სკოლა, IX კლასი) და ზ. აზმაიფარაშვილმა (თბილისის მე-15 სკოლა, VII კლასი) — 10-10 ქულა. შეჯიბრების დებულებით, რომელშიც ქულათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში უპირატესობა პირად შეხვედრაში გამარჯვებულს ეძლევა, საქართველოს ჩემპიონის სახელი ბურჭულაძეს მიეკუთვნა (მან სძლია აზმაიფარაშვილს). საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი აზმაიფარაშვილი II ადგილზე დარჩა. ორივე მოჭადრაკემ მოიპოვა უფროსთა ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება.

III ადგილი დაიკავა ი. ეფიმოვმა (თბილისის მე-2 სკოლა, VII კლასი) — 9,5, IV — ზ. თანდაშვილმა (თბილისის 87-ე სკოლა, X კლასი) — 8.

შეჯიბრებათა შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდი 8 მოჭადრაკის შემადგენლობით (ბურჭულაძე, აზმაიფარაშვილი, ეფიმოვი, თანდაშვილი, ზ. ლიფონავა, ა. კლიმჩუკი, წერეთელი, მამისთვალოვა). ეს გუნდი ამ დღეებში გაემგზავრა ბელციში (მოლდავეთი) მოსწავლეთა საკავშირო გუნდურ პირველობაში მონაწილეობის მისაღებად.

ს. მებრელიშვილი,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მ. წერეთელი და ზ. ბურჭულაძე.

## ღირსეული კანდიდატურა

— საბჭოთა სპორტის მიღწევები იმდენად მნიშვნელოვანია, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა გ. შიოდლმა (ავსტრია), — რომ მოსკოვი სავსებით იმსახურებს 1980 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების მასპინძლის როლს. საბჭოთა კავშირს აქვს აუცილებელი სპორტული ბაზები და მოსკოვს თამამად შეუძლია ისეთი დიდი სპორტული დღესასწაულის ჩატარება, როგორიცაა ოლიმპიური თამაშები.

იმედი მაქვს, 1980 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორად მოსკოვს აირჩევენ. მე ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ვარ და შემიძლია ვთქვა, რომ საბჭოთა კავშირში ძალოსანთა შეჯიბრებები კარგადაა ორგანიზებული. მე ვყოფილვარ მოსკოვში, კიევში, ტაშკენტში, ერევანში „მეგობრობის პრიზზე" გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებებზე, და ამიტომ თამამად შემიძლია ვთქვა ეს.

აი, რა უთხრა საკდესის კორესპონდენტს ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ო. სტეიტმა (დიდი ბრიტანეთი):

— მოსკოვის კანდიდატურა არავითარ ეჭვს არ იწვევს. საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქს უთუოდ დაუჭერენ მხარს. მე ამ დასკვნამდე მივედი სოკ-ის წევრებთან და სპორტის სხვა ოფიციალურ წარმომადგენლებთან საუბრის შემდეგ.

# „ამბავი სიყვარულისა“

კონცერტის შემდეგ დიდხანს ვტრიალებდი საწოლში. ბოლოს, როგორც იქნა, ჩამეძინა. ძილში იმ საღამოს ნანახი კონცერტის კონფერანსიე გამომეცხადა. ჩემს საწოლთან გაჩერდა, მოხდენილი მოძრაობით საყელო გამისწორა, ზრიალინით გაპოხილ თმეზზე ხელი გადაისვა და წუხანდელი ანეკდოტი გაიმეორა:

— მამას სამი შვილი ჰყავდა, ორი ჭკვიანი და ერთიც სპორტსმენი...

შემდეგ გაიღრიჭა და სანამ გონს მოვიდოდი, საწოლს სამჯერ შემოურბინა, თან დამძახოდა: ერთი სპორტსმენი, ერთი სპორტსმენი... ბოლოს ენა გამომიყო და გაუჩინარდა.

გაღვიძებული თვალებს დიდხანს აქეთ-იქით ვაცეცებდი, მაგრამ ოთახში არავინ იყო. რაღა თქმა უნდა, კარგა ხანს ველარ დავიძინე. ნეტა რამ წამიყვანა იმ დაწყევლილ კონცერტზე. მერე, როგორც იქნა, ჩამეძინა. ახლად ჩაძინებულს თავზე ნახევრად გამოყეყეჩებული და საშინლად გამხდარი, სპორტულ კოსტიუმში გამოწკეპილი ტიპი დამადგა: ცალ ხელში ბურთი ეჭირა, მეორე ხელით კი მალიმალ ცხვირზე ჩამოწეულ სათვალეს ისწორებდა. შემდეგ ბურთი მაღლა აავდო, დაიჭირა და მთელი ძალით თავში მთხლიშა. უცბად გამეღვიძა, შეშინებული წამოვვარდი. ვინ იყო ის მამაცხონებული, რას მერჩოდა?.

ძილი, რა თქმა უნდა, აღარ მეკარებოდა. სულ იმას ვფიქრობდი, კონფერანსიე წუხელ კონცერტზე ვნახე, მაგრამ ეს ვინღა იყო? ბოლოს, როგორც იქნა, გამახსენდა: ეს ტიპი რომელიღაც კინოში მყავდა ნანახი (კინოს სათაური ვერა და ვერ მოვიგონე). გამახსენდა დეტალებიც: რაქიტიან ფიზკულტურის მასწავლებელს მართლაც ცალ ხელში სულ ბურთი ეჭირა, მეორე ხელით კი სათვალეს ისწორებდა და ასე დარბოდა სამასწავლებლოსა და საკლასო ოთახებს შორის.

მეორე დღეს კვირა იყო. უძილობით გაბოროტებულმა ყველა საქმე განზე გადავდე და დასვენება გადავწყვიტე. ის იყო ტახტზე წამოვწექი, რომ მეორე ოთახიდან ხმაური შემომესმა. თავს ცოლის ახლო ნათესავი ქალი წამომადგა:

— მიშველეთ, ვიდუპები, აწ ის მომაცილეთ, ან ფანჯრიდან გადავხტები!

დავამშვიდე, როგორც შემეძლო, თან შეუმჩნევლად ფანჯარა მივხურე (მეშვიდე სართულიდან ჩემი მტერი გადახტა).

ბოლოს, როგორც იქნა, ყველაფერი გავიგე. თურმე მის ვაჟს სპორტსმენი ქალის ცოლად შერთვა განუზრახავს. რაც შემეძლო, ვუქე გოგონა, რომელსაც კარგად ვიცნობდი, წესიერია, განათლებული, პატიოსანი, მეოჯახე-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ვერაფერს გავხდი. ბოლოს განაწყენებულმა, უკვე კარებში გასულმა გესლიანად მომაძახა:

— ფიზკულტურელი შენც გვეყოფი!..

საბოლოოდ ნერვებმოშლილი და გამწარებული ტელევიზორს მივუჯექი, ცოტას მაინც გავერთობი-მეთქი. როგორც კი ეკრანი განათდა, მინიატურების თეატრ „13 სკამის“ ერთ-ერთი გმირის — პან სპორტსმენის იდიოტური სიფათი დავინახე. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ტელევიზორი სასწრაფოდ თბილისზე გადავრთე.

...სცენაზე ახალგაზრდა ლექტორი მასავით აცუნდრუკებულ სტუდენტ გოგონას გამოცდას უტარებდა. ლექტორის შეკითხვაზე — ფიზკულტურის ინსტიტუტში რა გინდოდაო... ქალიშვილი თავს იმართლებდა: რა მექნა, სამედიცინოზე ვერ მოვეწყვე, ზოოვეტერინარულში ვერ მოვხვდი და სხვაგან სად წავსულიყავიო. მოხიბლულმა ლექტორმა ქალიშვილს წასჩურჩულა — კულინარულ სკოლაში მაინც შესულიყავიო. ბოლოს საბოლოოდ შეყვარებულმა ლექტორმა ქალიშვილთან ერთად დატოვა სცენა.

— თქვენ ნახეთ ნაწყვეტი კიტა ბუაჩიძის კომედიიდან „ამბავი სიყვარულისა“, — ნაზი ხმით გამოაცხადა დიქტორმა.

ღმერთო, ეს რა დღე გამითენდა!.. გიტარის სიმებივით დაჭიმული ნერვები ველარ მოვთოკე და, სხვა რომ ვერაფერი მოვახერხე, ტელევიზორს მუშტი დავარტყი (მაშინ რა ვიცოდი, რა დამიჯდებოდა ატელიეში ტელევიზორის მიტანა).

რას გვერჩით, რა დავაშავეთ ასეთი, რატომ, რისთვის? განა დღეს ფიზიკური კულტურითა და სპორტით გატაცება ასე დასაძრახია? ნუთუ თქვენ არ გხიბლავთ ადამიანის ტანის სილამაზე, მისი სიძლიერე და ხულიერი სიმტკიცე? განა არ გაღელვებდათ თქვენი თანამემამულის — ჩუმი და უწყინარი კაცის, მთის ვეფხვად წოდებული მიხეილ ხერგიანისა და მისი მეგობრების თავგანწირვა, როცა ისინი უმაღლეს მწვერვალებს იპყრობდნენ? იმ ხერგიანზე მოგახსენებთ, რომელიც მთებთან ჭიდილში დაეცა, მაგრამ არ წაქცეულა, რომლის ნაცვამი ფეხსაცმელი დღესაც ლონდონის სამეფო მუზეუმში ინახება. განა უმაღლესი მწვერვალის დაპყრობა ბუნებაზე ადამიანის გამარჯვებას არ ნიშნავს?

განა თქვენ არა ხართ, პატივცემულო მამებო და დედებო, ბიძებო და ბიცოლებო, მწერლებო და დრამატურგებო, ხმის ჩახლეჩამდე რომ გაჰყვირით სტადიონზე და აღტაცებას ვერ ფარავთ სპორტსმენთა ყოველ მოხდენილ ფანდზე? განა თქვენ არა ხართ, ტელევიზორს შუაღამემდე თვალს რომ არ აცილებთ, სიამოვნებით რომ უყურებთ ტანმოვარჯიშეთა თუ მოციგურავეთა დახვეწილ, ულამაზეს მოძრაობებს? განა თქვენ არ ეგებებით აღფრთოვანებით ლეკვეიშვილისა და მეტრეველის ყოველ გამარჯვებას, თედიაშვილისა და გაფრინდაშვილის ოქროს მედლებსა და დაფნის გვირგვინებს? განა თქვენ არა ხართ, დღესაც აღტაცებით რომ ახსენებთ პაიჭაძეს, კარტოზიას, მესხს, ბალავაძეს, ღოღობერიძეს, ჯუღელს, რცხილაძეს, ბაბილოძეს, შავლაყაძეს, ქორქიას, გოკიელს, დუმბაძეს და სხვებს, რომლებმაც თქვენი და ჩემი საყვარელი სამშობლოს სახელი მსოფლიოს ყველა კუთხეში ასახელეს? და ბოლოს, როცა გული გაგრძნობინებთ, აქა ვარო, განა თქვენ არ ეძებთ გაფაციცებით იმ წიგნებსა და ბროშურებს, რომელთაც ასეთი „უცნაური“ სათაურები აქვთ: „სირბილით ინფარქტისგან“, „სიცოცხლის ელექსირი“...

და ბოლოს, განა არისტოტელე და რუსთაველი, ტოლსტოი და შოუ, კუპრინი და პუშკინი, გოეთე და ბაირონი, ლონდონი და ჰაინე, ბევრი სხვა დიდი მწერალი და პოეტი, სასიქადულო მეცნიერი და სახელოვანი მოღვაწე სპორტის ნამდვილი ტრფიალნი არ იყვნენ? განა კაცობრიობის გაჩენის დღიდან მსოფლიოს საუკეთესო პოეტები, მხატვრები, მოქანდაკეები, მწერლები ადამიანის ტანის სილამაზეს არ უმღეროდნენ?

მაშ თქვენ რაღა მოგივიდათ, საყვარელო დედებო, მამებო, ბებიებო და ბიცოლებო, ჩვენი რომ არ გჯერათ, ზედმეტი სიყვარულით დაბრმავებულნი ზომაზე მეტად ჩასუქებულ შვილებსა და შვილიშვილებს ცივ ნიავს რომ არ აკარებთ და, როგორც „დასუსტებულებს“, ფიზკულტურის გაკვეთილებიდანაც კი ათავისუფლებთ? ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ დღეს, ტექნიკის უდიდესი პროგრესის ეპოქაში, ფიზიკური კულტურა და სპორტი ყველასთვის ჰაერივით აუცილებელია,

დღეს სპორტი უკვე [illegible] სანახაობის ფარგლებს. დღეს ის უკვე სოციალისტური [illegible] კომუნისტური აღზრდის განუყოფელი ნაწილია. დღეს სპორტი პოლიტიკაცაა, დიახ, პოლიტიკა, რომელიც ხალხებს აკავშირებს და ამეგობრებს. განა XX ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენთა გამარჯვება დიადი საბჭოთა ქვეყნის გამარჯვება არ იყო?

ნუ იფიქრებთ, თითქოს იუმორის გრძნობა გვაკლდეს, ან ხუმრობა არ გვესმოდეს, მაგრამ, როცა ხელში კალამს იღებ და სპორტზე წერ, ცოტა სპორტის სულსა და გულსაც უნდა იცნობდე. უნდა იცოდე, რომ დღეს სპორტი ინტელექტების ჭიდილია, სადაც მარტო ფიზიკური ძალა არაფერს ნიშნავს, თუ კარგად არ გესმის ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგია, ბიომექანიკა, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია...

განა ჩვენ არ ვიცით, რომ ხშირად ვცოდავთ, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვიჭირს და ბევრიც გვაკლია? ამიტომ, მოდით, თქვენც დაგვეხმარეთ, მოგვეცით მეტი სულიერი საზრდო: წერეთ სპორტზე, წერეთ რაც შეიძლება მეტი, მაგრამ ნურც ერთი ლამაზი ფანდისთვის აგვიყვანთ ცამდე და ნურც ხუთი გაშვებული ბურთისთვის გაგვასწორებთ მიწასთან.

და ბოლოს, სულ ყეყეჩებად და უწიგნურებად ნუ დაგვხატავთ. ისე კი, ცნობისთვის უნდა მოგახსენოთ, რომ საბჭოთა კავშირში 50 წლის განმავლობაში სპორტულ თემაზე 5 ათასზე მეტი სხვადასხვა დასახელების წიგნი გამოიცა; ბოლო 20 წლის განმავლობაში 117 სახელმძღვანელო დაისტამბა.

მოდით, მეგობრებო, მწერლებო და პოეტებო, დრამატურგებო და ჟურნალისტებო, რეჟისორებო და მსახიობებო, დედებო და მამებო, ერთმანეთს ხელი ჩავკიდოთ და ერთიანი ძალით ვემსახუროთ იმ დიდ საქმეს, რომელსაც ჩვენი მომავალი თაობის ჰარმონიული აღზრდა ჰქვია.

და როცა მიზანს მივაღწევთ, აი, მაშინ კი ნამდვილი ამბავი სიყვარულისა თამამად, უზრჭყალებოდ შეიძლება დაიწეროს.

**გ. ყირმელაშვილი,**
დოცენტი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

# მეტი, ვიდრე მოელოდნენ

რუსთავში, სპორტკლუბ „ფოლადის“ დარბაზში, სამ დღეს გრძელდებოდა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში 1957–1958 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის.

ასპარეზობამ, რომელშიც 160-მდე სპორტსმენს უნდა მიეღო მონაწილეობა, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონის, გორის, ჭიათურის, ონის, ტყიბულის, მარელისისა და რუსთავის 254 წარმომადგენელს მოუყარა თავი.

მოწონება დაიმსახურა ზესტაფონელმა თ. მაჩიტიძემ, რომელიც მძიმე წონაში გამოდიოდა. მან ოთხივე შერკინებაში წმინდა გამარჯვება მოიპოვა. ქუთაისელ შ. ჯანელიძესთან შეხვედრა მაჩიტიძემ 30 წამში დაამთავრა.

საუცხოოდ იასპარეზა რუსთაველმა მ. მუზაშვილმაც. მან ყველა შეხვედრა უჯარიმოდ მოიგო.

კარგად მომზადებული სპორტსმენები გამოიყვანეს სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ლ. ძეკონსკიმ (თბილისი), რუსთაველმა მწვრთნელებმა პ. ჯიოშვილმა (თავისუფალი ჭიდაობა) და ვ. ლაფაჩიშვილმა (კლასიკური ჭიდაობა). კლასიკურ ჭიდაობაში პირველად სცადეს ძალა ი. ტყეშელაშვილის (ონი) აღსაზრდელებმა და ბევრმა მათგანმა საპრიზო ადგილიც დაიკავა.

წონითი კატეგორიების მიხედვით თავისუფალ ჭიდაობაში ჩემპიონები გახდნენ: ი. კვარაცხელია (სოხუმი), მ. ელიკაშვილი (გორი), ი. მინდიაშვილი, მ. მუზაშვილი (ორივე — რუსთავი), ა. თიბილოვი (ცხინვალი), ლ. გოგაშვილი (რუსთავი), თ. ლომინაძე (ქუთაისი), ნ. ლურსმანაშვილი (გორი), ა. ჩიჩუა (ბათუმი), ა. ბეკოევი (ცხინვალი), თ. მაჩიტიძე (ზესტაფონი).

კლასიკურ ჭიდაობაში საუკეთესონი იყვნენ: გ. დვალი (ქუთაისი), თენგიზ ხატიაშვილი (თბილისი), პ. ხომასურიძე (ონი), თამაზ ხატიაშვილი, გ. პეტრიაშვილი (ორივე — თბილისი), ა. დიასამიძე, თ. ნინიკური, ნ. იდუკაშვილი (სამივე — რუსთავი), ზ. ხვედელიძე (ჭიათურა), მ. კიკნაძე (რუსთავი), ტ. გუბელაძე (ქუთაისი).

შეიქმნა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს პროფკავშირების საკავშირო შეჯიბრებაში.

**რ. ბაბრიშიძე.**
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

• • •



სურათზე: „ფოლადის“ დარბაზის საერთო ხედი შეჯიბრების დღეებში.

ავტორის ფოტო.

# კიდევ ორიოდე სიტყვა კაუნასის ტურნირზე

როგორც უკვე ვიუწყებოდით, კაუნასში ჩატარდა სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატი. ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი, სპორტის ოსტატი ვ. იმერლიშვილი შეხვდა საქართველოს ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს გ. კახაბრიშვილს. აი, რა გვიამბო მწვრთნელმა:

— კაუნასში 26 ქართველი სამბისტი გამოდიოდა. ამ შეჯიბრებამდე ჩვენმა ათლეტებმა წარმატებით იასპარეზეს სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების პირველობებში, რითაც ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ჩვენი ბიჭებიდან ყველაზე თვალსაჩინო წარმატებას იოსებ მაღალაშვილმა მიაღწია. მან 52 კგ წონითს კატეგორიაში დამაჯერებლად მოიგო შვიდივე შეხვედრა (მათ შორის — წარსული მსოფლიო ჩემპიონთან გენადი გიორგაძესთან) და პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი.

იოსებმა ჭიდაობის ანბანის შესწავლა ქართული ჭიდაობით დაიწყო კასპში ლავრენტი კაციაშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ თბილისში ვარჯიშობდა თავისუფალ ჭიდაობაში გიორგი როსტიაშვილთან და ამ სახეობაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრიც გახდა. პარალელურად სამბოშიც ცდიდა ძალებს და წლეულს წარმატებით იასპარეზა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში. მაღალაშვილი შეყვანილია სსრ კავშირის ნაკრებში. მალე მას იაპონიის საერთაშორისო ტურნირში მოუწევს გამოსვლა. ეს ტურნირი იქნება ძალის შემოწმება ევროპის პირველობის წინ.

როგორც აღვნიშნეთ, ამავე წონაში გამოდიოდა პირველი მსოფლიო ჩემპიონი გიორგაძე. მისი სუსტი გამოსვლა იმას უნდა მივაწეროთ, რომ შეჯიბრების წინ დაშავდა და ახლა ნატკენი მხარით მოუხდა ბრძოლა.

კარგად გამოვიდა 100 კგ წონითს კატეგორიაში თბილისის არმიის სპორტული კლუბის წარმომადგენელი ნოდარ ექვთიმიშვილი, რომელმაც ფინალში მცირე განსხვავებით წააგო საბჭოთა არმიის წარმომადგენელ ლუბინეცთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

სამი ჩვენი სამბისტი: ნოდარ სალთხუციშვილი, ელგუჯა ნინიაშვილი და როინ ოდიშელიძე V ადგილებზე გავიდნენ.

სასიხარულოა, რომ ამ ჩემპიონატში გამოცდილი სამბისტების გვერდით ასპარეზობდნენ ახალგაზრდები, X კლასის მოსწავლეები მ. ბითაძე (გორის რაიონის სოფელ ქვემო ხვითის საშუალო სკოლა) და მ. დავითაშვილი (ახმეტის მე-2 საშუალო სკოლა). ისინი გამოდიოდნენ 48 კგ წონითს კატეგორიაში და, თუმცა მაღალ ადგილებზე ვერ გავიდნენ, სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურეს.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში სპორტსაზოგადოებათა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I. „დინამო“, II. საბჭოთა არმია, III. „ბურევესტნიკი“.

ოთხ მილიონზე მეტი

20 მარტს გორკში „უროჟაის“ მოჭადრაკეთა გუნდური ტურნირით დაიწყო რუსეთის II სასოფლო სპორტული თამაშების ფინალური შეჯიბრებები. მონაწილეთა შორის არიან საერთაშორისო ოსტატი ჩ. ხოლმოვი (მოსკოვის ოლქი), რსფსრ-ს უძლიერესი ოსტატები ო. ავერკინი (სვერდლოვსკის ოლქი), გორკელი ო. ჩერნიკოვი, ქვეყნის ჩემპიონატების ფინალურ შეჯიბრებათა მრავალგზის მონაწილე ლ. ლიუბარსკაია (როსტოვის ოლქი) და სხვა ცნობილი მოჭადრაკეები.

მაისში აქვე ჩატარდება ფინალური ასპარეზობა სროლასა და შაშში, ხოლო ივნისის ბოლოს — კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა, ფრენბურთელთა, ველოსიპედისტთა, ცხენოსანთა, მძლეოსანთა და ხელბურთელთა შეჯიბრებები.

ფინალებს წინ უძღოდა შეჯიბრებები კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საშუალო და უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების ფიზკულტურის კოლექტივებში. სარბიელზე გამოვიდა 4 მილიონზე მეტი სოფლის ფიზკულტურელი და სპორტსმენი. 124 მონაწილემ სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა, 9 ათასზე მეტმა პირველი თანრიგისა და ოსტატობის კანდიდატობის შედეგები მოიპოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი-74

# სტარტზეა კიდევ ერთი შეჯიბრება

დღეს იწყება საქართველოს 1974 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში. I ჯგუფის 20 გუნდი ჩაებმება უმაღლესი წოდებისთვის ბრძოლაში, 6 აპრილს კი სტარტი მიეცემა გათამაშებას II ჯგუფში. შემდეგ, მაისში, დაიწყება ზონალური შეჯიბრებები.

წლევანდელი ჩემპიონატის I ჯგუფში ითამაშებენ: „დინამო" (სოხუმი), „მეტალურგი" (რუსთავი), ასკ, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ორივე — თბილისი), „მაღაროელი" (ჭიათურა), „ქართლი" (გორის რაიონი), „სულორი" (ვანი), „ივერია" (ხაშური), „კახეთი" (თელავი), „მეშახტე" (ტყიბული), „კოლხეთი" (ხობი), „მეტალურგი" (ზესტაფონი), „შუქურა" (ქობულეთი), „სალხინო" (გეგეჭკორი), „ეგრისი" (ცხაკაია), „ლოკომოტივი" (თბილისი), „ვარძია" (ასპინძა), „ამირანი" (ოჩამჩირე), დიმიტროვის სახელობის ქარხანა (თბილისი), „სპარტაკი" (ცხინვალი).

II ჯგუფის გუნდები დაყოფილი არიან ზონებად. I ზონა — „მამცხე" (აწყური), „ალაზანი" (გურჯაანი), „განთიადი" (ბორჯომი), „მესხეთი" (ახალციხე), „არაგვი" (დუშეთი), „ცისკარი" (სიღნაღი), „დურუჯი" (ყვარელი), „რუბეროიდი" (გარდაბანი), „ყინწვისი" (ქარელი), „შევარდენი" (თბილისი), „განახლება" (ადიგენი), „ჰერეთი" (ლაგოდეხი), „მადნეული" (ბოლნისი), „განთიადი" (კასპი); II ზონა — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია), „ფერქარი" (ქუთაისი), „გიგანტი" (ლაითური), „კოლმეურნე" (წულუკიძე), „იმერეთი" (თერჯოლა), „დიოსკურია" (სოხუმი), „სქური" (წალენჯიხა), „ჩიხურა" (საჩხერე), „ბახმარო" (ჩოხატაური), „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ), „მზიური" (გალი), „განთიადი" (აბაშა), „კოლმეურნე" (ლანჩხუთი), „სამგურალი" (წყალტუბო).

თუ რესპუბლიკის ჩემპიონობის პრეტენდენტ ორ გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა ექნა, გამარჯვებულის გამოსავლენად ნეიტრალურ მინდორზე დაინიშნება დამატებითი მატჩი. მისი ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი დრო — 30 წუთი. თუ უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია, მეტოქეები მეორე დღეს შეხვდებიან ერთმანეთს იმავე მინდორზე. თუ შეხვედრა ახლაც ფრედ დამთავრდა, გამარჯვებულს პენალტების სერია დაასახელებს. აღნიშნული წესი ვრცელდება მეორე ჯგუფის გუნდებზეც.

საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი 1975 წელს ითამაშებს „ა" კლასის საკავშირო გათამაშების II ლიგაში რესპუბლიკის იმ გუნდის ნაცვლად, რომელიც იქ უფრო დაბალ ადგილზე დარჩება.

თუ ქულათა თანაბარი რაოდენობა ექნა სამ ან მეტ გუნდს, ჩემპიონის გამოსავლენად მათ შორის ნეიტრალურ მინდორზე მოეწყობა დამატებითი გათამაშება ერთ წრედ. II და მომდევნო ადგილების ბედის გასარკვევად ქულათა თანაბრობის შემთხვევაში საკითხს გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა გადაწყვეტს. თუ ეს მაჩვენებელი ერთნაირი იქნა, უპირატესობა მიეკუთვნება გუნდს, რომელსაც თავის უშუალო მეტოქესთან მოპოვებული ექნება გამარჯვება. ამ მაჩვენებლის ტოლობისას უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც გათამაშებაში მეტი მატჩი ექნება მოგებული.

I ჯგუფში ბოლო ორ ადგილზე დარჩენილი გუნდები გაისად ითამაშებენ II ჯგუფში, ხოლო მათს ადგილებს დაიკავებენ II ჯგუფის ზონებში I ადგილებზე გასული კოლექტივები.

დისციპლინის დარღვევისთვის მინდვრიდან გაძევებული მოთამაშე შორიგ მატჩზე არ დაიშვება. გუნდი ვალდებულია ასეთი მოთამაშის საკითხი განიხილოს საერთო კრებაზე და თავისი გადაწყვეტილება აცნობოს ფეხბურთის რესპუბლიკურ ფედერაციას. ამ ოქმის გარეშე ფედერაცია მოთამაშის საკითხს არ განიხილავს. მინდვრიდან ორჯერ გაძევებულ ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია მიეცემა ერთი წლით.

მსაჯის მიერ ორჯერ გაფრთხილებულ მოთამაშეს მექანიკურად მიეცემა დისკვალიფიკაცია ერთი მატჩით, მესამე გაფრთხილებისას — სამი შეხვედრით, ხოლო მეოთხე გაფრთხილებისას — ერთი წლით.

თუ შეჯიბრების ჩატარების ადგილზე სათანადო წესრიგი არ იქნა და ამ მიზეზით თამაში ჩაიშალა, ადგილობრივ გუნდს ჩაეთვლება წაგება, სტადიონს კი დისკვალიფიკაცია მიეცემა.

გუნდი, რომელიც თვითნებურად დატოვებს მინდორს მატჩის დროის დამთავრებამდე, მოიხსნება გათამაშებიდან, ხოლო მისი ხელმძღვანელობისა და მოთამაშეთა საკითხი განიხილება რესპუბლიკური ფედერაციის სხდომაზე.

კალენდარულ შეხვედრაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში გუნდი მოიხსნება გათამაშებიდან და შემდგომი წლისთვის კარგავს იმავე ჯგუფში თამაშის უფლებას. იმავე ზომას მიიღებენ გუნდის მიმართ, თუ იგი გათამაშების დამთავრებამდე თვითნებურად გამოეთიშება შეჯიბრებას.

I ჯგუფის გათამაშებაში გამარჯვებულ გუნდს მიენიჭება საქართველოს 1974 წლის ჩემპიონის წოდება, დაჯილდოვდება რესპუბლიკური სპორტკომიტეტის გარდამავალი თასით და დროშით, აგრეთვე, პირველი ხარისხის დიპლომით. გუნდის მოთამაშეები და მწვრთნელი დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით. დაჯილდოვდებიან, აგრეთვე, II და III ადგილებზე გასული გუნდები, მოთამაშეები და მწვრთნელები.

## თასი მოსკოველებმა მოიგეს

რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის თასი წილად ხვდა მოსკოვის „ლოკომოტივს", რომელმაც 21 მარტს სოფიაში განმეორებითი შეხვედრა მოუგო სოფიელ თანაკლუბელებს—3:0. ბურთები გაიტანეს ჩესნოკოვმა (2) და რიკოვმა.

მოსკოველები ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყვნენ სოფიაში წაგებული (1:4) პირველი მატჩის შემდეგ, მაგრამ „მშრალი" ანგარიშით აღებულმა რევანშმა საერთო სხვაობა გაათანაბრა — 4:4, ხოლო მეტოქის მინდორზე გატანილმა გოლმა საბჭოთა ფეხბურთელებს გამარჯვება მოუტანა.

ევროპის ტურნირები

# ნახევარფინალში გავიდნენ

20 მარტს გაიმართა ევროპის საკლუბო გუნდების განმეორებითი მეოთხედფინალური შეხვედრები, რომელთა შედეგად გამოვლინდნენ ნახევარფინალური ეტაპის მონაწილენი.

## ჩემპიონთა თასი

გფრ-ის „ბაიერნს" (მიუნხენი) პირველი მატჩი მოგებული ჰქონდა ბულგარეთის ცსკას-„სეპტემვრიისკო ზნამესთან" — 4:1. გერმანელებმა სოფიაში მეორე მატჩი წააგეს — 1:2, მაგრამ ორი შეხვედრის ჯამში ნახევარფინალში გავიდნენ.

„სპარტაკი" (ტრნავა, ჩეხოსლოვაკია) — „დოჟა-უიპეშტი" (ბუდაპეშტი, უნგრეთი). აქ გამეორდა პირველი მატჩის ანგარიში — 1:1, დამატებითმა პენალტებმა კი გამარჯვება უნგრელებს მოუტანა.

შოტლანდიის „სელტიკმა" (გლაზგო) ხელმეორედ მოუგო შვეიცარიის „ბაზელს" — 4:2 (პირველი — 3:2) და ასევე ნახევარფინალში გავიდა.

20 მარტს არ უთამაშიათ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" და მადრიდის „ატლეტიკოს".

## თასების მფლობელთა თასი

„ფკ მაგდებურგი" (გდრ) — „ბეროე" (სტარა ზაგორა, ბულგარეთი). შინ მოგებული (2:0) მატჩის შემდეგ გერმანელებმა სტუმრად ქულა აიღეს (1:1) და 4 შესაძლებლიდან 3 ქულა დააგროვეს.

გფრ-ის „ბორუსიამ" (მენხენგლადბახი) კვლავ დიდი უპირატესობით ითამაშა ჩრდილოეთ ირლანდიის „გლენტორანთან" და გაიმარჯვა — 5:0 (პირველი — 2:0).

პორტუგალიის „სპორტინგმა" (ლისაბონი) შვეიცარიის „ციურიხთან" პირველად მოპოვებული გამარჯვების (3:0) შემდეგ, სტუმრად კიდევ ქულა აიღო — 1:1.

ასევე შეასრულა თავისი ამოცანა იტალიის „მილანმა" საბერძნეთის პაოკთან შეხვედრაში. პირველი მატჩი — 3:0, მეორე — 2:2.

## უეფა-ს თასი

პოლონეთის „რუხს" (ხოჟუვი) ქულა ჰქონდა აღებული როტერდამის „ფეიენოორდთან" (ჰოლანდია) — 1:1, მაგრამ პოლონელებმა განმეორებითი შეხვედრა სტუმრად წააგეს (1:3) და გათამაშებას გამოეთიშნენ.

პორტუგალიის „ვიტორიამ" (სეტუბალი) შტუტგარტში (გფრ) ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდთან წაგების (0:1) შემდეგ თავის მინდორზე მხოლოდ ფრეს მიაღწია — 2:2.

ინგლისის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა" (ლონდონი) ორივე მატჩი მოუგო გფრ-ის „კიოლნს": პირველი — 2:1, მეორე — 3:0.

ორი შეხვედრის ჯამში გატანილი ბურთების თანაბარი ბალანსი აღმოაჩნდათ ინგლისის „იფსვიჩ თაუნს" და გდრ-ის „ლოკომოტივს" (ლაიპციგი) — 1:0, 0:1. საჭირო შეიქნა დამატებითი პენალტების დანიშვნა. აქ წარმატება წილად ხვდათ გერმანელ ფეხბურთელებს.

# საკავშირო კონკურსი

## იმათთვის, ვინც ქარგად გააშუქებს ტურიზმსა და ექსკურსიებს

„ხუთწლედის მარშრუტებით" — სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა, ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭო 1974 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უცხოეთის ტურიზმის მთავარ სამმართველოსთან და ახალგაზრდობის საერთაშორისო ტურიზმის ბიურო „სპუტნიკთან" ერთად ასეთი დევიზით აწყობენ საკავშირო კონკურსს პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი ტურიზმისა და ექსკურსიების საუკეთესო გაშუქებისთვის.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ცენტრალური, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული გაზეთების, ჟურნალების, ცენტრალური და ადგილობრივი ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის რედაქციებს, აგრეთვე, ცალკეულ ჟურნალისტებს.

კონკურსის ჟიური განსახილველად იღებს თემატურ სერიებს, აგრეთვე, სხვადასხვა ჟანრის ცალკეულ მასალებს: სტატიებს, რადიონარკვევებს, მოგზაურის შენიშვნებს, რეპორტაჟებს, ფოტოებს, რომლებიც გამოქვეყნდება 1974 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გაზეთების რედაქციათა კოლექტივების წასახალისებლად დაწესებულია:

**სამი პირველი პრემია თითო 500 მანეთის ოდენობით,**
**სამი მეორე პრემია — 400-400 მანეთი,**
**სამი მესამე პრემია — 250-250 მანეთი.**

კონკურსში გამარჯვებული ცალკეული ავტორებისთვისაც დაწესებულია პრემიები. ამას გარდა, გაიცემა წამახალისებელი დიპლომები და ჯილდოები სოციალისტურ ქვეყნებში ტურისტული საგზურების ფორმით.

## მშდ კომპლექსის საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა მოსამზადებლად

„განთიადის" ცენტრალურმა საბჭომ ზუგდიდში ჩაატარა ზონალური თათბირ-სემინარი მშდ ახალი კომპლექსის საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა მოსამზადებლად. მონაწილეობდნენ ფოთის, ცხაკაიას, აბაშისა და ადგილობრივი ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეები და მეთოდისტები.

სემინარს ხელმძღვანელობდა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი მ. კოდუა. ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები ჩაატარეს ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორმა ა. ქირიამ, „განთიადის" ზუგდიდის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ჰურღულიამ, საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის მთავარმა ექიმმა ლ. ქარჩავამ და სხვ.

ა. ფიფია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

# აპრილში, მოსკოვში...

## „დინამო": 5 მატჩი, 5 მოგება

პერვოურალსკსა და დონეცკში დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტური.

გაგაცნობთ შეხვედრების შედეგებს, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ გამოქვეყნებულა.

პერვოურალსკი. მოსკოვის „დინამომ" ერთნაირი ანგარიშით (3:0) დაამარცხა კიევის „ბურევესტნიკი", ვოროშილოვგრადის „ისკრა" და ტაშკენტის „ავტომობილისტი". „ბურევესტნიკმა" მოუგო „ისკრას" (3:1) და წააგო სვერდლოვსკის „ურალოჩკასთან" (1:3). „ისკრამ" დაამარცხა მოსკოვის „ლოკომოტივი" (3:2), „ლოკომოტივმა" კი მოუგო „ურალოჩკას" (3:0) და „ავტომობილისტს" (3:1). „ურალოჩკამ" აჯობა „ავტომობილისტს" (3:2).

დონეცკი. ცსკა-მ მოუგო ლენინგრადის „ბურევესტნიკსა" და ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდს ერთნაირი ანგარიშით — 3:1, დონეცკის „ავტომობილისტს" — 3:0, და წააგო ლენინგრადის „სპარტაკთან" — 2:3. „ბურევესტნიკმა" წააგო ბაქოს „ნეფთჩისთან" (1:3) და „სპარტაკთან" (2:3), მოუგო „ავტომობილისტს" (3:2). „ნეფთჩიმ" დაამარცხა „ავტომობილისტი" (3:1) და „სპარტაკი" (3:0), წააგო სამედიცინო ინსტიტუტთან (0:3). ამ უკანასკნელმა ერთნაირი ანგარიშით (3:0) დაამარცხა „ავტომობილისტი" და „სპარტაკი".

ჩემპიონი გამოვლინდება აპრილში, მოსკოვში.

გაგაცნობთ მესამე ტურის საბოლოო ცხრილებს:

### პერვოურალსკი

| | მ. | წ. | ბ.შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „დინამო" | 5 | 0 | 15:3 | 5 |
| „ბურევესტნიკი" (კიევი) | 3 | 2 | 10:9 | 3 |
| „ისკრა" | 3 | 2 | 10:9 | 3 |
| „ლოკომოტივი" | 2 | 3 | 11:10 | 2 |
| „ურალოჩკა" | 2 | 3 | 9:12 | 2 |
| „ავტომობ." (ტაშ.) | 0 | 5 | 3:15 | 0 |

### დონეცკი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამედიცინო ინსტ. | 4 | 1 | 13:4 | 4 |
| „ნეფთჩი" | 4 | 1 | 12:7 | 4 |
| ცსკა | 3 | 2 | 13:8 | 3 |
| „სპარტაკი" | 2 | 3 | 8:13 | 2 |
| „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) | 1 | 4 | 8:14 | 1 |
| „ავტომობილისტი" (დონეცკი) | 1 | 4 | 6:14 | 1 |

ფრენბურთი





## რეკორდსმენი

სახელგანთქმული ინგლისელი ფეხბურთელი სტენლი მეტიუზი, რომელიც 50 წლის ასაკამდე მონაწილეობდა თავისი ქვეყნის პირველობებში, დიდხანს ითვლებოდა ჩემპიონად სპორტულ დღეგრძელობაში ტყავის ბურთის ოსტატთა შორის. მაგრამ ახლა მისი რეკორდი გააუქმა 53 წლის ურუგვაელმა ფეხბურთელმა ბიბიიანო ზაპირენმა. იგი 35 წლის მანძილზე იცავდა ურუგვაის ნაკრებისა და „ნასიონალის", აგრეთვე, კოლუმბიის კლუბ „მილიონარიოსისა" და იტალიის „ინტერნაციონალეს" ღირსებას.

ამჟამად იგი ურუგვაის ერთ-ერთ პროვინციულ გუნდში გამოდის.

ზაპირენს ეკუთვნის მეორე, კიდევ უფრო საოცარი რეკორდი, სამხრეთ ამერიკული კრიტერიუმით თუ მივუდგებით: თავისი აქტიური მოღვაწეობის ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე იგი არც ერთხელ არ გაუძევებიათ მინდვრიდან.

● ●

## მხდალი ჯენტლმენები

„ახალგაზრდა ლედი (25 წლისა), მიმზიდველი გარეგნობისა, რომელიც შესანიშნავად ფლობს ძიუდოს და კარატეს ილეთებს (შავი ქამარი აქვს მოპოვებული), მარჯვედ ხმარობს ყველა კალიბრის პისტოლეტს, ეძებს ნაცნობობას დადებითს, წესიერ ჯენტლმენთან, რათა შემდეგში ცოლად გაჰყვეს მას. პასუხებს გაუგზავნეთ შიფრი: „სიმამაცე-1973".

ეს განცხადება მთელი 1973 წლის განმავლობაში იბეჭდებოდა ლონდონის გაზეთ „ფიფლის" ფურცლებზე. ამას წინათ რედაქციამ გამოაცხადა, რომ ამ ხნის მანძილზე აღნიშნული შიფრით არც ერთი წერილი არ მიუღია.

● ●

## 17 წლის... ბებერი

ცურვაში სამი ოლიმპიური მედლის მფლობელმა, რომელსაც ბევრჯერ დაუმყარებია მსოფლიო რეკორდები თავისუფალი სტილით ცურვაში, ავსტრალიელმა შეინ გოულდმა განაცხადა, რომ თანახმაა საცურაო კოსტიუმების ერთ-ერთ ფირმაში სარეკლამო აგენტად და დემონსტრატორად იმუშაოს. „ჩემთვის ესაა ერთადერთი შესაძლებლობა, რომ რაღაც გასამრჯელო უზრუნველყოფილი მქონდეს და თან არც საცურაო აუზის დატოვება მომიხდეს, — აუხსნა თავისი გადაწყვეტილება გოულდმა გაზეთ „ოსტრელიენის" რეპორტიორს. — 23 ნოემბერს 17 წელი შემისრულდა და სპორტის ანტრეპრენიორები ჩემს მიმართ ინტერესს აღარ იჩენენ, ალბათ მიაჩნიათ, რომ ძალიან ბებერი ვარ".

19 45

◆ სოჭი, 22 მარტი. დაიწყო მრავალდღიანი ველორბოლა სოჭის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის, კრასნოდარის, კუიბიშევისა და სხვა ქალაქების უძლიერესი სპორტსმენები. სტარტზე გამოვიდნენ, აგრეთვე, სსრ კავშირისა და რსფსრ-ს ნაკრები გუნდები. პირველ დღეს საასპარეზო მანძილი 75 კმ იყო. გაიმარჯვა ა. ტიხონოვმა (სსრ კავშირის I გუნდი) — 1:38.50. ფინიშთან მეორე მივიდა ს. სინიცინი (სსრ კავშირის III გუნდი) — 1:39.20. მესამე იყო რ. შარაფულინი (სსრ კავშირის III გუნდი) — 1:39.30. შეჯიბრება 25 მარტს დამთავრდება.

● სოჭი, 20 მარტი. მხატვრულ ტანვარჯიშში ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას" პრიზზე აქ გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა გ. შუგუროვამ (ომსკი). II ადგილზე გავიდა ჯგუფურ ვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონი ა. ზასუხინა (ასტრახანი), ხოლო III — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გ. შაფროვა (ლერმონტოვი). საპატიო ჯილდოს სსრ კავშირის 80-ზე მეტი საუკეთესო ტანმოვარჯიშე ეცილებოდა ერთმანეთს.

● ლაიპციგი, 20 მარტი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ნახევარფინალურ მატჩში „ლაიპციგის" ხელბურთელ ქალთა გუნდმა ანგარიშით 22:8 (13:3) სძლია მინდენის „აინტრახტს" (გფრ). ამ გუნდების პირველი შეხვედრაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა გამარჯვებით (9:8) დამთავრდა. ამრიგად, „ლაიპციგი" გათამაშების ფინალში გავიდა, სადაც კიევის „სპარტაკისა" და ბელგრადის „რადნიჩკის" წყვილში გამარჯვებულ კოლექტივს შეხვდება.

● ბუქარესტი, 21 მარტი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების აქ გამართული საპასუხო ნახევარფინალური მატჩი კვლავ ლენინგრადის „სპარტაკის" კალათბურთელ ქალთა გუნდის გამარჯვებით დამთავრდა: სტუმრებმა ანგარიშით 77:40 (36:30) აჯობეს ადგილობრივი ფიზაღზრდისა და სპორტის ინსტიტუტის კოლექტივს. ლენინგრადელები ფინალში გავიდნენ. სხვათა შორის, მათ რუმინეთის გაზეთ „სპორტულის" პრიზი გადაეცათ.

● რიგა, 21 მარტი. ადგილობრივი ტტტ-ს კალათბურთელ ქალთა გუნდმა მეორე ნახევარფინალური მატჩიც მოუგო ლოძის ლკს-ს და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში გავიდა. შეხვედრის ანგარიშია 81:52 (42:27).

ასე ვარჯიშობს ცნობილი სპორტსმენი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, პოლონელი ძალოსანი ზიგმუნდ სმალცეჟი (უმჩატესი წონა). აი, ასეთი ვარჯიშის ნაყოფია სმალცეჟის გამარჯვებები მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ფიცარნაგებზე. დაუღალავი, მრავალფეროვანი წვრთნის გარეშე სპორტსმენი ვერც მიაღწევს წარმატებას, რაოდენ დიდი ნიჭითაც უნდა იყოს დაჯილდოებული. თუ სურათს კარგად დააკვირდებით, დაინახავთ, რომ სმალცეჟის სავარჯიშო იარაღი არც ისე მჩატე უნდა იყოს.

ი. მიხლევსკის (ვარშავა) ფოტო.



## ობიექტივში მსოფლიო

ეს ფოტოსურათიც ერთ-ერთი ვარჯიშის ეპიზოდს გვაცნობს, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, სპორტი ვარჯიშის გარეშე ვერ იარსებებს. ამ სურათზე უკვე სხვა სახეობის წარმომადგენელს — „მფრინავ მოთხილამურეს" ვხედავთ. მაგრამ იგი, როგორც ხედავთ, ფრენის შემდეგ თოვლზე კი არ ეშვება, არამედ... წყალზე.

ვარჯიშის ამ უჩვეულო მეთოდს ნორვეგიელი ტრამპლინიდან მხტომელები იყენებენ. ზაფხულში, მოგეხსენებათ, თოვლი არ მოდის და, დრო უქმად რომ არ დაკარგონ, ასეთი რამ გამოიგონეს: ოსლოს მახლობლად, ჰოლმენკოლენში (აქ ცნობილი „საზამთრო" ტრამპლინიცაა), ააგეს ტრამპლინი, საიდანაც ბორბლებიანი თხილამურებით ეშვებიან და წყალში ხტებიან. ფრენის დროს სპორტსმენს თხილამურები სძვრება. ნახტომების სიგრძე 15-25 მეტრს აღწევს.

კაფ — აპ-ის ფოტო.



## მოსკოვს მხარს უჭერს

ჰელსინკი, 22 მარტი. (საკდესი). მოსკოვი საუკეთესოდ გამოდგება 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად, — განაცხადა ფინეთის პარლამენტის დეპუტატმა, ფინეთის კომპარტიის აქტიურმა მოღვაწემ ე. ლაინემ ტურკუს სპორტული საზოგადოების კრებაზე გამოსვლისას.

ოლიმპიადები მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის საქმეს უნდა ემსახურებოდეს. ოლიმპიური თამაშების მასპინძლად მოსკოვი ამ მხრივაც განსაკუთრებით მისაღები კანდიდატურაა.

## თასი — ზაირელებს

კაიროში დამთავრდა აფრიკის თასის გათამაშება ეროვნულ გუნდებს შორის. ფინალში გავიდნენ ზაირისა და ზამბიის ნაკრები კოლექტივები. მათი ერთი მატჩი ფრედ (0:0) დამთავრდა, მეორე კი ზაირის ფეხბურთელებმა მოიგეს (2:0) და აფრიკის თასი მოიპოვეს.

გამარჯვებული გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით: კაზადი, მვეგუ, ნგოი, ბვანგა, ლობილო, მაიანგა (კიბონგო), მანა, ნდაიე, მავუბა (კემბო), კისიმუ, კაკოკო.

● ●

## კიდევ ხუთი წლით



მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელსა და ბომბარდირს, დასავლეთგერმანელ გერჰარდ მიულერს მსოფლიოს ბევრი კლუბი იწვევს, მაგრამ იგი თავისი გუნდის, მიუნჰენის „ბაიერნის" ერთგული რჩება.

ამ რამდენიმე დღის წინათ გამოცხადდა, რომ მიულერმა კიდევ ხუთი წლით გააგრძელა კონტრაქტი „ბაიერნთან".

სპორტლოტო

## მორიგი ტირაჟები

მოსკოვი, 20 მარტი. დღეს აქ მოეწყო „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი ტირაჟები. შედეგები ასეთია:

„სპორტლოტო" — 3 (აკრობატიკა), 9 (ჭიდაობა), 24 (სათხილამურო სპორტი), 41 (ჩოგბურთი), 45 (ფეხბურთი), 49 (შაში);

„სპორტლოტო-2" — 7 (ბიატლონი), 22 (ციგურაობა), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 34 (ხელბურთი), 45 (ფეხბურთი), 49 (შაში).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისი სპორტული ცხოვრება

ფეხბურთი. 24 მარტი. საქართველოს ჩემპიონატი. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — ასკ (თბილისი). დასაწყისი 11 ს. მოზარდთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თელავი). 13 ს. მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — განათლების განყოფილება (თბილისი). 15 ს. „დინამოს" საწვრთნელი ბაზა დიღომში. „ავაზა" (თბილისი) — „განთიადი" (თბილისი). 14 ს.

საქართველოს სპორტკომიტეტი და ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფიზკულტურული მოძრაობის ვეტერანი ლუსიანე ლუკას ძე იგითხანიშვილი და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02524